დანართი 1

დამტკიცებულია

შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის ხელმძღვანელის

2025 წლის 26.06 N 01/44 ბრძანებით

შუალედური შეფასების და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი

ქ.თბილისი
2025 წ.

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1.1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შუალედური შეფასების ჩატარების წესი (შემდგომში წესი) არეგულირებს აკადემიაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შუალედური შეფასების წესსა და პირობებს;

1.2. წესი ეფუძნება 2022 წლის 9 აგვისტოს საქართველოს მთავრობის დადგენილებას №416 „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“.

მუხლი 2. შუალედური შეფასების მიზანი და საგანი

2.1. შუალედური შეფასების მიზანს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნისა და უნარების დონის დადგენა და მისთვის განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა წარმოადგენს.

2.2. განმავითარებელი შეფასება თავისი არსით სწავლის პროცესის შეფასებაა. განმავითარებელი შეფასების შედეგების ანალიზი საშუალებას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში მოხდეს სწავლების მიდგომების გადახედვა და კორექტირება, რათა სასწავლო პროცესი გახდეს შედეგზე და ხარისხზე ორიენტირებული.

2.3. შუალედური შეფასების საგანია პროფესიული ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, რომლის შინაარსიც ეფუძნება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელ მოდულებს.

მუხლი 3. პროფესიული სტიუდენტის მიღწევების შეფასების სისტემა

3.1. აკადემია უზრუნველყოფს ვალიდურ, სანდო, ობიექტურ, სამართლიან და გამჭვირვალე შეფასების სისტემას;

3.2. პროფესიული სტუდენტის შეფასება მოიცავს შეფასების ინსტრუმენტს, შეფასების პროცესს და შეფასების მტკიცებულებას.

მუხლი 4. შუალედური შეფასების ადმინისტრირების ჯგუფი

4.1. შუალედური შეფასების ორგანიზებისა და ადმინისტრირების მიზნით იქმნება შუალედური შეფასების ადმინისტრირების ჯგუფი.

4.2. ადმინისტრირების ჯგუფის წევრები არიან:

ა) სწავლების, განვითარების და ინოვაციური პროცესების ხელშეწყობის მენეჯერი;

ბ) შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი;

4.3. ადმინისტრირების ჯგუფს ხელმძღვანელი განისაზღვრება აკადემიის ხელმძღვანელის ბრძანებით.
4.4. ადმინისტრირების ჯგუფი:
ა) განსაზღვრავს შუალედური შეფასების თარიღს;
ბ) აკადემიის ხელმძღვანელს წარუდგენს ინფორმაციას შუალედური შეფასების თარიღის შესახებ;
გ) პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების (მათ შორის, შუალედური შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების კრიტერიუმების, შეფასების მეთოდების შესახებ) მიზნით, ადმინისტრირების ჯგუფი ხვდება პროფესიულ სტუდენტებს. საინფორმაციო შეხვედრის თაობაზე აკადემიის წარმომადგენელი პროფესიულ სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას არაუგვიანეს 10 დღისა შეფასების თარიღამდე;
დ) შუალედური შეფასების კომისიის (შემდგომში -შეფასების კომისია) წევრებს აცნობებს შესაბამის პროგრამაზე შეფასების (მათ შორის, განმეორებითი შუალედური შეფასების) თარიღის შესახებ, არაუგვიანეს 3 დღით ადრე შეფასების თარიღის დადგომამდე;
ე) შეფასების კომისიას უწევს ტექნიკურ მხარდაჭერას შეფასების პროცესში. ასევე, შეფასების კომისიის წევრებს გააცნობს შეფასების ინსტრუმენტს, კრიტერიუმებს და შუალედური შეფასების წესს.
ვ) აკადემიის ხელმძღვანელს მიაწვდის ინფორმაციას შუალედური შეფასებისათვის საჭირო რესურსის შესახებ, არაუგვიანეს 10 დღისა შეფასების პერიოდის დაწყებამდე, ასეთის საჭიროების შემთხვევაში;
ზ) შუალედური შეფასების შედეგებს აცნობებს პროფესიულ სტუდენტებს შუალედური შეფასების შედეგების მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში;
თ) განიხილავს პროფესიულ სტუდენტთა განცხადებებს შუალედური შეფასების აღდგენის თაობაზე და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას;
ი) იღებს შუალედური შეფასების პროცესის ადმინისტრირებისთვის საჭირო სხვა ღონისძიებებს.
4.5. ადმინისტრირების ჯგუფი ანგარიშვალდებულია აკადემიის ხელმძღვანელის წინაშე.
4.6. ადმინისტრირების ჯგუფი აკადემიის ხელმძღვანელს წარუდგენს ინფორმაციას შუალედურ შეფასებაზე გამოუცხადებელ პროფესიულ სტუდენტთა შესახებ.
4.7. ადმინისტრირების ჯგუფი წარუდგენს აკადემიის ხელმძღვანელს შეფასების კომისიის წევრთა კანდიდატურებს, შეფასების თარიღამდე არაუგვიანეს 5 დღისა.

მუხლი 5. შუალედური შეფასების კომისია

5.1. შუალედურ შეფასებას გასცემს შუალედური შეფასების კომისია.
5.2. შეფასების კომისიის შემადგენლობას, ადმინისტრირების ჯგუფის წარდგინებით, ამტკიცებს აკადემიის ხელმძღვანელი.

5.3. შეფასების კომისია შედგება მინიმუმ 5 წევრისაგან. კომისიის შემადგენლობის ნახევარზე მეტს უნდა ქმნიდეს პარტნიორი ორგანიზაციების/დარგობრივი ასოციაციების/სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები, ან/და დარგის/განათლების ექსპერტები.
5.4. შეფასების კომისიის შემადგენლობაში დასაშვებია შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში ჩართული პირების მონაწილეობა.
5.5. შეფასების კომისიის წევრი ვალდებულია, მონაწილეობა მიიღოს პროფესიული სტუდენტის შეფასებაში და გასცეს შუალედური შეფასება.
5.6. შეფასების კომისიის წევრი ვალდებულია, წინასწარ გაეცნოს სამუშაო ჯგუფის ფარგლებში შექმნილ შეფასების ინსტრუმენტს და მონაწილეობა მიიღოს ადმინისტრირების ჯგუფის მიერ ორგანიზებულ საკონსულტაციო შეხვედრაში, შუალედური შეფასების პროცედურებთან დაკავშირებით.
5.7. შუალედური შეფასების კომისია შეფასებისას ეყრდნობა არსებულ შეფასების ინსტრუმენტს და შეფასების კრიტერიუმებს, რომელსაც გავლილი აქვს ვალიდაცია.
5.8. შუალედური შეფასების თეორიულ ნაწილს (ტესტი) აფასებს შეფასების კომისიის ორი წევრი. შეფასების კომისიის წევრები დამოუკიდებლად აფასებენ ნამუშევარს და წერენ ქულას . განსხვავება ქულებს შორის არ უნდა აღემატებოდეს 5 ქულას. საბოლოო ქულა არის საშუალო არითმეტიკული, თუმცა, ქულებს შორის დიდი სხვაობის შემთხვევაში (5 ქულა ან მეტი) შეფასების კომისიის წევრებს შორის უნდა მოხდეს ნამუშევრის განხილვა და საერთო ქულის შეჯერება.
5.9. პროფესიულ სტუდენტთა ნამუშევრების შეფასებისას, საჭიროების შემთხვევაში, შეფასების კომისიის წევრები უფლებამოსილი არიან მოითხოვონ შეფასების ინსტრუმენტის შემმუშავებელ სამუშაო ჯგუფის წევრებთან კონსულტაცია.
5.10. პროფესიული სტუდენტის პრაქტიკული უნარების შუალედური შეფასების მიზნებისთვის, კომისიის წევრები შეფასების ქულას დაუყონებლივ ასახავენ შეფასების შესაბამის ფორმაში და პროფესიული სტუდენტის მიერ დაგროვილი ქულა გამოიანგარიშება კომისიის წევრთა მიერ გაცემული ქულების საშუალო არითმეტიკულით.
5.11. პროფესიული სტუდენტის პრაქტიკული უნარების შეფასებისას სავალდებულოა შეფასებას ახორციელებდეს კომისიის წევრთა უმრავლესობა.

მუხლი 6. პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების ინსტრუმენტი

6.1. შუალედური შეფასების ფარგლებში გამოიყენება დიფერენცირებული შეფასების სისტემა.
6.2. მაქსიმალური შეფასება - 100 ქულა. გადაწყვეტილებას თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტებს შორის თანაფარდობის თაობაზე იღებს აკადემიის ხელმძღვანელის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი პროფესიული სტუდენტების მიერ ათვისებული მოდულების შესაბამისად.

6.3. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების ინსტრუმენტია შუალედური დავალება, რომელსაც შუალედური შეფასების მიზნებისთვის ასრულებს პროფესიული სტუდენტი, რომლის საშუალებითაც წარმოჩინდება პროფესიული სტუდენტის მიღწევები შეფასების საგანთან მიმართებით.
6.4. შუალედური დავალება უნდა მოიცავდეს თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს. შუალედური დავალების პირობა იმგვარად უნდა ჩამოყალიბდეს, რომ წარმოჩნდეს როგორც სტუდენტის თეორიული ცოდნა, ასევე - პროფესიული სტუდენტის უნარი.
6.5. შუალედური დავალება, შესაძლოა შედგებოდეს ორი განცალკევებული - თეორიული (თეორიული შუალედური დავალება) და პრაქტიკული ნაწილისაგან (პრაქტიკული შუალედური დავალება) ან შედგეს ერთიანი შუალედური კომპლექსური დავალების სახით, სადაც იქნება ინტეგრირებული თეორიული და პრაქტიკული ასპექტები.
6.6. შუალედური დავალება შემუშავდება იმ პროფესიული ცოდნისა და უნარების ფარგლებში, რომლის გამომუშავებისკენაც მიმართულია დასრულებული მოდულებით გათვალისწინებული ის სწავლის შედეგები, რომლებიც დადასტურებულია პროფესიულ სტუდენტთა მიერ.
6.7. შეფასების კრიტერიუმები არის შუალედური დავალების ნაწილი და მიეთითება შუალედურ დავალებაში.
6.8. შუალედური შეფასების ინსტრუმენტი მოიცავს მინიმუმ შემდეგ ინფორმაციას: შესაბამისი პროგრამის დასახელება, შეფასების ტიპის დასახელება (შუალედური შეფასება), დავალების სახე, დავალების პირობა, დავალების შესასრულებლად განსაზღვრული დრო, პროფესიული სტუდენტის სახელი და გვარი, შეფასებისთვის საჭირო გარემო და პირობები, შეფასების თარიღი.

მუხლი 7. შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება და ვალიდურობის შემოწმება

7.1. შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების მიზნით აკადემიის ხელმძღვანელი ადმინისტრირების ჯგუფთან კოორდინაციით ატარებს შესაბამის ღონისძიებებს.
7.2. შუალედური დავალების შემუშავებაზე პასუხისმგებელია აკადემია. შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება ხორციელდება აკადემიის პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ.
7.3. შეფასების ინსტრუმენტი შეფასების თარიღამდე არაუგვიანეს 15 დღისა, გადის ვალიდაციას, აკადემიის მიერ შერჩეული ვალიდატორების მიერ.
7.4. შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებისა და ვალიდაციის პროცესში ჩართული პირები, აგრეთვე - ადმინისტრირების ჯგუფის წევრები ვალდებულნი არიან წინასწარ არ გაამჟღავნონ თეორიული შუალედური დავალების შინაარსი.
7.5. შუალედური შეფასების ინსტრუმენტის შემმუშავებელი პირი ვალდებულია, წარადგინოს ინფორმაცია შუალედური დავალების შესრულებისთვის საჭირო მასალა-ნედლეულის (ერთ პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი) შესახებ.

მუხლი 8. შუალედური შეფასების შედეგები

8.1. შუალედური შეფასებაზე მიღებული ქულა გავლენას არ ახდენს პროფესიული სტუდენტის სტატუსზე, ვინაიდან შუალედური შეფასება განმავითარებელია.

8.2. თითოეული პროფესიული სტუდენტი ინდივიდუალურად ღებულობს უკუკავშირს მის მიერ შესრულებულ დავალებასთან დაკავშირებით შეფასების კომისიის წევრების მიერ;

8.3. პროგრამის ხელმძღვანელი შეფასებიდან (არსებობის შემთხვევაში, განმეორებითი შუალედური შეფასებიდან) ორი კვირის პერიოდში პროფესიულ სტუდენტებს აძლევს ინდივიდუალურ უკუკავშირს თითოეულ შეფასების კრიტერიუმთან მიმართებაში ასევე, ტესტურ დავალებასთან მიმართებაში.

მუხლი 9. შუალედურ შეფასებაზე დაშვების წინაპირობები

შუალედურ შეფასებაზე დაიშვება მხოლოდ ის პროფესიული სტუდენტი, რომელსაც დადასტურებული აქვს ყველა, იმ დროისთვის დასრულებული მოდულის სწავლის შედეგები.

მუხლი 10. შუალედური შეფასების პროცესი

10.1. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია, დროულად გამოცხადდეს შეფასების ადგილზე,

10.2. გაიაროს რეგისტრაცია და მონაწილეობა მიიღოს შეფასების პროცესში.

10.3. პროფესიულმა სტუდენტმა თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

10.4. შუალედური შეფასების პროცესზე, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია, თან იქონიოს წყალი, პირადი ჰიგიენის ნივთები. შეფასების კომისია პროფესიული სტუდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, ნებას დართავს მას, გამოიყენოს სხვა ნივთები, რომელიც აუცილებელია პროფესიული სტუდენტისთვის.

10.5. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია, ამ მუხლის მე-3 პუნქტის გარდა, თან იქონიოს შუალედური დავალების შესრულებისთვის საჭირო იარაღები.

10.6. შეფასების პროცედურაზე, პროფესიულ სტუდენტს ეკრძალება ნებადართული ნივთების
გარდა სხვა საგნების გამოყენება.

10.7. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია დაიცვას წესრიგი, შეფასების პროცედურაზე. აკრძალულია პროფესიული სტუდენტისთვის გამოყოფილი ადგილის უნებართვოდ დატოვება, გადალაპარაკება, ხმაური, ან შეფასების პროცესისთვის სხვაგვარად ხელის შეშლა.

10.8. ამ მუხლით გათვალისწინებული პირობების უხეშად დარღვევის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი დატოვებს შეფასების პროცესს და მისი შეფასების ქულა განისაზღვრება ნულით.

10.9. შესაძლოა, შუალედური შეფასების პროცესს დაესწროს დამკვირვებლები.

მუხლი 11. განმეორებითი შუალედური შეფასება.

11.1. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია, აღადგინოს შუალედური შეფასება, რომელზეც არ გამოცხადდა საპატიო მიზეზით. ამისთვის ის დასაბუთებული განცხადებით მიმართავს ადმინისტრირების ჯგუფს, პირველივე შესაძლებლობისთანავე, მაგრამ, არაუგვიანეს შუალედური შეფასების თარიღიდან 2 სამუშაო დღისა და წარუდგენს მტკიცებულებას, რომელიც ადასტურებს შესაბამისი საპატიო მიზეზის არსებობას.

11.2. საპატიო მიზეზი, რომელიც პროფესიულ სტუდენტს აძლევს შუალედური შეფასების აღდგენის უფლებას, არის ავადმყოფობა, ახლო ნათესავის (მშობელი, მშვილებელი, შვილი, მინდობით აღსაზრდელი, ბაბუა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე, მასთან მუდმივად მცხოვრები პირი) გარდაცვალება, ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოება, რომელიც პროფესიული სტუდენტისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის პროფესიული სტუდენტის შუალედურ შეფასებაზე გამოცხადებას.

11.3. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იყოს სამედიცინო დაწესებულების შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს შუალედურ შეფასებაზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

11.4. ადმინისტრირების ჯგუფი ამ მუხლით გათვალისწინებულ საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს ჯგუფის წევრთა უმრავლესობით. გადაწყვეტილება აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერს შესაბამის პროგრამაზე, ჯგუფის ყველა წევრი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადაწყვეტილება მიიღება პროფესიული სტუდენტის სასარგებლოდ.

11.5. იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრირების ჯგუფი არ დააკმაყოფილებს პროფესიული სტუდენტის განცხადებას, აცნობებს პროფესიულ სტუდენტს პროგრამაზე განცხადების წარდგენიდან 2 დღის ვადაში.

11.6. იმ შემთხვევაში, თუ შუალედური შეფასების ადმინისტრირების ჯგუფი დააკმაყოფილებს პროფესიული სტუდენტის განცხადებას, ის დანიშნავს აღდგენითი შუალედური შეფასების თარიღს და ამის თაობაზე აცნობებს სტუდენტს, არაუგვიანეს აღდგენითი შუალედური შეფასების თარიღის დადგომამდე 5 დღით ადრე.

11.7. განმეორებითი შუალედური შეფასება უნდა ჩატარდეს შუალედური შეფასების დასრულებიდან 30 დღის ვადაში.

მუხლი 12. შუალედურ შეფასებაზე გამოუცხადებლობის შედეგები

12.1. პროფესიულ სტუდენტს, რომელიც შუალედურ შეფასებაზე (მათ შორის, განმეორებით შუალედურ შეფასებაზე) არ გამოცხადდება, შეუწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი, არ დაიშვება საკვალიფიკაციო გამოცდაზე გარდა იმ შემთხვევისა,

თუ პროფესიული სტუდენტი შუალედური შეფასების თარიღიდან 15 დღის ვადაში მიმართავს აკადემიის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მოთხოვნით.

12.2. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია, გაასაჩივროს აკადემიის ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე აკადემიის ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი-აქტის ბათილად ცნობის შეთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს აღუდგება პროფესიული სტუდენტის სტატუსი და შუალედურ შეფასებაზე დაიშვება გონივრულ ვადაში.

მუხლი 13. პროფესიულ სტუდენტთან კომუნიკაცია

13.1. პროფესიულ სტუდენტთან კომუნიკაციისთვის გამოიყენება აკადემიისთვის ცნობილი ელექტრონული ფოსტა ან/და მობილური ტელეფონის ნომერი.

13.2. ელექტრონულ ფოსტაზე ან/და მობილური ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი ტექსტური
შეტყობინება მიღებულად ითვლება.

13.3. პროფესიულ სტუდენტებს შეტყობინება ეგზავნებათ აკადემიის ოფიციალური საკონტაქტო წყაროებიდან.

მუხლი 14. შუალედური შეფასების მტკიცებულება

14.1. შეფასების კომისია, შეფასებიდან მაქსიმუმ 3 სამუშაო დღის ვადაში გადასცემს შუალედური შეფასების შედეგებს ადმინისტრირების ჯგუფს.

14.2. შუალედური შეფასების ადმინისტრირების ჯგუფი, მიმდინარე წელს ჩატარებული შუალედური შეფასებების მტკიცებულებებს გადასცემს აკადემიის რეგულაციით შესაბამის პასუხისმგებელ პირს, შუალედური შეფასების პერიოდის ან განმეორებითი შუალედური შეფასების დასრულებიდან 15 დღის ვადაში.

მუხლი 15. შუალედური შეფასების შედეგების გასაჩივრება

15.1. პროფესიული სტუდენტი, რომელიც არ დაუშვეს შუალედურ შეფასებაზე ან რომელსაც არ მისცეს გაცდენილი შუალედური შეფასების აღდგენის უფლება, უფლებამოსილია, არაუგვიანეს შეფასების თარიღიდან 7 დღისა დასაბუთებული პრეტენზიით, წერილობითი ფორმით მიმართოს აკადემიის ხელმძღვანელს.

15.2. პროფესიული სტუდენტის განცხადების წარდგენიდან არაუგვიანეს 4 სამუშაო დღისა ადმინისტრირების ჯგუფი აპელაციის თარიღს აცნობებს განმცხადებელს (მის მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერზე/ელ. ფოსტაზე).

15.3. აკადემიის ხელმძღვანელი, განცხადების წარდგენიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, შექმნის სააპელაციო კომისიას, რომელიც უნდა შედგებოდეს მინიმუმ 3 წევრისაგან.
15.4. სააპელაციო კომისიას თავმჯდომარეობს აკადემიის ხელმძღვანელი. სააპელაციო კომისიაში არ შეიძლება შედიოდეს შუალედური შეფასების ადმინისტრირების ჯგუფის წევრი.
15.5. სააპელაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს ზეპირი მოსმენის საფუძველზე.
15.6. სააპელაციო კომისია დანიშნავს განმეორებითი შუალედური შეფასების ახალ თარიღს, თუ მიიჩნევს, რომ არსებითად დაირღვა ამ წესით გათვალისწინებული პროცედურა. განმეორებითი შეფასება ინიშნება ამ წესით დადგენილ ვადაში.
15.7. სააპელაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს სააპელაციო კომისიის წევრთა ხმების უმრავლესობით. გადაწყვეტილებას ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი.

მუხლი 16. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი

16.1. საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა პროგრამით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგის დადასტურება და შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა;
16.2. პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭების აუცილებელი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება, რომლის მიზანია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების პროფესიული მოვალეობებისა და ამოცანების შესრულების პროცესში კომპლექსურად გამოყენების უნარის შეფასება;
16.3. საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება პროგრამის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა;
16.4. საკვალიფიკაციო გამოცდის თარიღი და ფორმატი განისაზღვრება კონკრეტული ჯგუფისათვის აკადემიის ხელმძღვანელის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით სწავლების, განვითარების და ინოვაციური პროცესების ხელშეწყობის მენეჯერის წარდგინებით არაუგვიანეს საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებამდე ერთი თვით ადრე;
16.5. პროფესიული სტუდენტის ინფორმირება საკვალიფიკაციო გამოცდის თარიღისა და ფორმატის შესახებ ხორციელდება სამუშაო შეხვედრაზე და ელ. ფოსტაზე წერილობითი შეტყობინების გაგზავნით, აკადემიის ხელმძღვანელის მიერ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა.
16.6. საკვალიფიკაციო გამოცდის თემატიკა არ უნდა გასცდეს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეულ სწავლის შედეგებს.
16.7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, საკვალიფიკაციო გამოცდის მიზნებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას:
ა) თეორიული გამოცდა;
ბ) პრაქტიკული უნარების დემონსტრირება;

გ) პროექტის პრეზენტაცია;
დ) სიტუაციის განხილვა და ანალიზი;
ე) სხვა რელევანტური მეთოდები ან მათი კომბინაცია;
16.8. საკვალიფიკაციო გამოცდის შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი პროგრამის თანახელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ერთად;
16.9. საკვალიფიკაციო გამოცდის შეფასების ინსტრუმენტი მოიცავს:
ა. ინფორმაციას შეფასების ინსტრუმენტის შეთანხმების/ვალიდაციის შესახებ;
ბ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელებას;
გ. კვალიფიკაციის დასახელებას, რომლის მინიჭებისთვისაც შეიქმნა მოცემული შეფასების ინსტრუმენტი;
დ. შეფასების მიმართულებას. მოცემულ გრაფაში მიეთითება შეფასების მიმართულებებიდან შესაბამისი მიმართულება: გამოკითხვა; პრაქტიკული დავალება დაკვირვებით; პრაქტიკული დავალება-პროდუქტი როგორც შედეგი;
ე. შეფასების მეთოდს:
- ტესტირება (რაც გულისხმობს თეორიული ცოდნის წერილობით შეფასებას)
- პრაქტიკული დავალებ(ებ)ის შესრულება;
- ამ გრაფაში მოხდება შესაბამისი კომპონენტის აღნიშვნა;
ვ. დავალების აღწერას;
ზ. დავალების შესრულების ინსტრუქციას;
თ. შეფასებისათვის განკუთვნილ დროს - მოცემულ გრაფაში მიეთითება შეფასების ხანგრძლივობა, რომელიც განისაზღვრება საათებით, მაგ. 2 საათი, 2,5 საათი;
ი. შეფასების ადგილს/გარემოს აღწერას. შეფასების პროცესი შესაძლოა ჩატარდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების A, B, C გარემოში, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკით/ინვენტარით/მასალა ნედლეულით, ან ჩატარდეს რეალურ სამუშაო გარემოში. ყველა შემთხვევისათვის შეფასების სივრცე უნდა აკმაყოფილებდეს შეფასების ინსტრუმენტით დადგენილ პირობებს და იძლეოდეს შეფასების ინსტრუმენტით განსაზღვრული დავალებების სრულფასოვნად შესრულების შესაძლებლობას);
კ. დამატებით პირობებს. მიეთითება ის დამატებითი პირობები, რაც ნებადართულია პროფესიული პროფესიულ სტუდენტისთვის/შესაფასებელ პირისთვის შეფასების პროცესში. მაგალითად: ლექსიკონის, კანონმდებლობის ან კალკულატორის გამოყენება, თანამშრომლობა სხვა პროფესიულ პროფესიულ სტუდენტებთან/შესაფასებელ პირებთან შეფასების პროცესში და სხვა), ასევე ამ გრაფაში შესაძლოა მიეთითოს შეფასების პროცესზე დაშვების წინაპირობა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)
ლ. შეფასების კრიტერიუმებს;
მ. შეფასების მტკიცებულების სახეს;
ნ. შეფასების პროცესისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობას/მასალებს/ ინვენტარს;

ო. ხარვეზების დასაშვებ ნორმას/შესრულების მინიმალურ ხარისხს, თუ რა შემთხვევაში შეფასდება დადებითად;
პ. პროფესიული პროფესიულ სტუდენტის სახელსა და გვარს;
ჟ. ინფორმაციას შეფასების შედეგების შესახებ;
რ. შემფასებელი კომისიის ხელმოწერას;
ს. პროფესიული სტუდენტის ხელმოწერას, ზეპირი გამოკითხვის ან შეფასების პროცესზე დაკვირვების შემთხვევაში;
ტ. შეფასების ჩატარების თარიღს;
უ.სხვა სახის ინფორმაციას, ინსტრუმენტის საჭიროებიდან გამომდინარე. მოცემულ გრაფაში მიეთითება სხვა დამატებითი მოთხოვნა ან პირობები, რაც ინდივიდუალურად განისაზღვრება კონკრეტული შეფასების ინსტრუმენტის მიმართ.
16.10. შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას ახორციელებს საკვალიფიკაციო კომისია;
16.11. შეფასების ინსტრუმენტი 3 დღის ვადაში რეკომენდაციებით/შენიშვნებით/ მითითებებით უბრუნდება შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების სამუშაო ჯგუფს, რომელიც ვალდებულია 3 სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს შესწორებული სახით. თუ სამუშაო ჯგუფი არ ეთანხმება ვალიდაციის პროცესში გაცემულ რეკომენდაციებს, ვალიდაციის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის და შეფასების ინსტრუმენტის შემქმნელი მიმართავენ დარგის სხვა სპეციალისტს;
16.12. შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციისას ივსება ვალიდაციის ფორმა, რომელსაც ხელს აწერს საკვალიფიკაციო კომისიის ყველა წევრი;
16.13. ვალიდურად ითვლება შეფასების ინსტრუმენტი, რომელიც აკმაყოფილებს ვალიდაციის ყველა კრიტერიუმს;
16.14.პროფესიული სტუდენტების შეფასების მიზნებისათვის გამოიყენება მხოლოდ ვალიდური შეფასების ინსტრუმენტი;
16.15.ვალიდური შეფასების ინსტრუმენტის ერთი ეგზემპლარი ინახება ვალიდაციის ფორმასთან ერთად;
16.16.საკვალიფიკაციო გამოცდას ატარებს საკვალიფიკაციო კომისია;
16.17.საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობა, კომისიის თავმჯდომარე და მდივანი განისაზღვრება აკადემიის ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
16.18.საკვალიფიკაციო კომისია უნდა შედგებოდეს სულ მცირე სამი წევრისაგან, მასში უმეტესობას უნდა ქმნიდეს ის პირები, ვინც არ ღებულობდა მონაწილეობას შესაფასებელი სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში;
16.19. საკვალიფიკაციო კომისიის წევრი უნდა იყოს დარგის წარმომადგენელი;
16.20.საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობაში სავალდებულო წესით უნდა მონაწილეობდეს დარგის შესაბამისი სფეროს წარმომადგენელი, რომელიც არ არის აკადემიის წარმომადგენელი;

16.21. საკვალიფიკაციო კომისიის კომპეტენციაა საკვალიფიკაციო გამოცდის დადებითი შედეგების საფუძველზე შუამდგომლობით მიმართოს აკადემიის ხელმძღვანელს პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე;

16.22. საკვალიფიკაციო კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა;საკვალიფიკაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა უმრავლესობით;საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარის ან მდივნის არყოფნის შემთხვევაში, დანარჩენი წევრები ირჩევენ სხდომის თავმჯდომარეს და მდივანს;

16.23. საკვალიფიკაციო კომისიის მუშაობისას, კომისიის წევრთა ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა;საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება სხდომის ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი; საკვალიფიკაციო კომისიის წევრი უფლებამოსილია საკუთარი განსხვავებული პოზიცია დააფიქსიროს ოქმში;

16.24. საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგები უნდა ეცნობოს პროფესიულ სტუდენტს, გამოცდის ჩატარებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის განმავლობაში წერილობითი ფორმით (ელ. ფოსტის საშუალებით).

16.25. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგები მისი გაცნობიდან 5 სამუშაო დღის ვადაში გაასაჩივროს წერილობით, აკადემიის ხელმძღვანელის სახელზე დაწერილი განცხადებით;

16.26. საჩივრის განხილვის მიზნით აკადემიის ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება სააპელაციო კომისია, რომლის შემადგენლობაში შეიძლება შევიდეს აკადემიის პროფესიული განათლების მასწავლებელი (პირი, რომელიც არ მონაწილეობდა პროფესიული სტუდენტის სწავლები, შეფასების, საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობაში) და დარგის სპეციალისტები, საწარმოს წარმომადგენელი;

16.27. სააპელაციო კომისია ვალდებულია 5 სამუშაო დღის ვადაში განიხილოს საჩივარი და მიღებული დასაბუთებული გადაწყვეტილების თაობაზე აცნობოს საჩივრის ავტორს, გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა;

16.28. სააპელაციო კომისიას იღებს შემდეგ გადაწყვეტილებათაგან ერთ-ერთს:

ა) საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ;

ბ) საკითხის საკვალიფიკაციო კომისიისათვის განსახილველად დაბრუნების შესახებ.

16.29. სააპელაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. კვლიფიკაციის მინიჭების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება პროფესიული სტუდენტის სააპელაციო განაცხადის შემოტანიდან ერთი თვის ვადაში.

16.30. საკვალიფიკაციო გამოცდაზე არგამოცხადების ან საკვალიფიკაციო/სააპელაციო კომისიის უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, პროფეიული სტუდენტი

უფლებამოსილია ამ მუხლით დადგენილი პირობებითა და წესით გავიდეს განმეორებით საკვალიფიკაციო გამოცდაზე;
16.31. პროფესიულ სტუდენტი ვალდებულია საკვალიფიკაციო გამოცდის გაცდენის შემთხვევაში განცხადებით მიმართოს აკადემიის ხელმძღვანელს და წარადგინოს დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს გამოცდაზე არ გამოცხადების საპატიო მიზეზს, გამოცდიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში;
16.32. წარმოდგენილ დოკუმენტაციას განიხილავს აკადემიის ხელმძღვანელი და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრავს განმეორებითი საკვალიფიკაციო გამოცდის ადმინისტრირების საკითხებს.
16.33. საკვალიფიკაციო გამოცდის დადებითი შედეგების საფუძველზე, საკვალიფიკაციო კომისიის შუამდგომლობით, აკადემიის ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებირვი აქტით პროფესიულს სტუდენტს ენიჭება შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია;
16.34. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ძირითად ვადებში საკვალიფიკაციო გამოცდაზე/განმეორებით გამოცდაზე არგამოცხადების ან არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უჩერდება პროფესიული სტატუსი.

მუხლი 17. დასკვნითი დებულება

17.1. წესი დამტკიცებულია აკადემიის ხელმძღვანელის მიერ;
17.2. წესში ცვლილების შეტანა ხდება აკადემიის ხელმძღვანელის ბრძანების შესაბამისად.